

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები და სერვისები



თბილისი 2020

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი სტუდენტებსა და მსმენელებს სთავაზობს ფართო სპექტრის მომსახურებას, რაც მათ დაეხმარება წარმატების მიღწევაში.

პროფორიენტაციის სამსახური – კოლეჯს ჰყავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც დაინტერესებულ პირებს აწვდის სხვადასხვა სახის ინფორმაციას - პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალური რესურსებისა და ტექნიკური ბაზის შესახებ.

კარიერის სამსახური- ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე. სპეციალობის (მწვრთნელის, სამთო გამყოლის, მასაჟისტ-რეაბილიტატორისა და რეპორტიორის) მასწავლებელთა უმეტესობა დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. მათთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვანი პროფესიული პრაქტიკის გავლას. ყოველივე ეს ქმნის თითოეული სტუდენტის წარმატებული დასაქმების წინაპირობას. ჩვენი ურთიერთობა სტუდენტებთან არ მთავრდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით ან დიპლომის გაცემით. სპორტის კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების პროფესიულ განათლებაში მოზიდვის, ჩართვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზის წარმართვის პროცესებს. აღწერს სტუდენტების დარგობრივი კომპეტენციების ამაღლებასა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზებს.

დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობის ფარგლებში კოლეჯში ეწყობა ინდივიდუალური ან/და ჯგუფური შეხვედრები, სადაც პასუხისმგებელი პირების მიერ გაიცემა კარიერული განვითარებისა და შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციები. კონსულტაციის ფარგლებში სტუდენტები იღებენ რჩევებს სტაჟირებისა და დასაქმების ობიექტების შესახებ, ასევე ეფექტური რეზიუმეს, სამოტივაციო წერილის შედგების თაობაზე.

საკონსულტაციო მომსახურება. კოლეჯი უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას, რომლის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლები და კოლეჯის მასწავლებლები სტუდენტებს უწევენ კონსულტირებას და ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, საგამოცდო სესიების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. დროულად, გონივრულ ვადაში გასცემს ცნობებს სტუდენტის სტატუსის შესახებ, სხვა საჭირო დოკუმენტაციას.

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური – კოლეჯში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების მექანიზმები. სტუდენტებს ემსახურება სერტიფიცირებული ექიმი, რომელიც მზადაა პირველადი დახმარება გაუწიოს. კოლეჯში შექმნილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყველა პირობა. უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენილელი უზრუნველყოფს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რისთვისაც ახდენს სისტემატურ შემოწმებას. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილია სათვალთვლო კამერებით და ოცდაოთხსაათიან რეჟიმში უზრუნველყოფს დაწესებულების შენობის დაცვას. ის ემსახურება უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

სერვისი შშმ პირებისათვის- სპორტის კოლეჯში შექმნილია პირობები როგორც შშმ ასე სსსმ პირებისთვის განათლების მისაღებად , რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას.

ბიბლიოთეკა – სპორტის კოლეჯში არსებობს საბიბლიოთეკო სივრცე, რომლის წიგნსაცავში დაცულია სილაბუსების/მოდულების მიხედვით მითითებული ყველა სასწავლო ლიტერატურა, ხელმისაწვდომი ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდეები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ყოველთვის მზადაა მკითხველთა დასახმარებლად. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა 10.00 დან 18.00 საათამდე.

უკაბელო ინტერნეტი/Wifi - კოლეჯის ტერიტორიაზე შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა.

ღონისძიებები – ხარისხიანი განათლების მიწოდების გარდა, სპორტის კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ინტელექტუალურ, გასართბ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს. კოლეჯში ყოველწლიურად იმართება მეთოდური კონფერენციები, გამარჯვებული სტუდენტი ჯილდოვდება სპეციალური პრიზებით, ხოლო მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

სასწავლო პრაქტიკა დაბა ბაკურიანში - სპორტის კოლეჯი მწვრთნელისა და სმათო გამყოლის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად სტუდენტებისთვის ახორციელებს ერთკვირიან გასვლით მეცადინეობებს დაბა ბაკურიანში. ამისთვის კოლეჯი ქირაობს სასტუმროს, სადაც უზრუნველყოფილია სამჯერადი კვება. კოლეჯი ასევე ქირაობს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილებას.